ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვის შესახებ # 26

სენაკი
11 მაისი 2022 წ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ ა.ი.პ. სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება (იურიდიული მისამართი სენაკი ზვ. გამსახურდიას 117, ფაქტიური მისამართი სენაკი, ჭავჭავაძის ქ.# 76 ა). საიდენტიფიკაციო კოდი 239892434, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა. კოდი TRESGE22ა/ა GE24NB0330100200165022 წარმოდგენილი _ ა.ი.პ. სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორის მ/შემსრულებელი რუსუდან მიშველია (შემდგომში"შემსყიდველი ~) მეორეს მხრივ ი/მ " გულადი პაჭკორია" მისამართი: ქ. სენაკი.კოსტავას ქ #44 ს/კოდი 39001035292 საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ბანკის სენაკის ფილიალი, BAGAGE22, ანგარიშის #GE42BG0000000882284700,წარმომადგენელი გულადი პაჭკორიას (შემდგომში 'მიმწოდებელი~) შორის.

1.**ხელშეკრულების ობიექტის დასახელება**
მიმწოდებელი იღებს ვადებულებას მიაწოდოს დამკვეთს სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებას ბ/ბაღებისათვის შემდეგი სახის სანტექნიკური ნაწილები.

დანართი 1

#	კლასიფიკატორის კოდი	დასახელება	ზ/ე	რაოდენობა	ფასი	ჯამი
1	42130000	შემრევი ონკანი	ცალი	5	35	175
2	44165100	ნიჟარის შლანგი 60სმ	ცალი	23	7	161
3	31214100	ელ.გამომრთველი ავტომატის 50 A	ცალი	1	40	40
4	44521110	კარის საკეტის გულანა	ცალი	1	6	6
5	31213300	ელ.ავტომატის კოლოფი	ცალი	8	2	16
6	42131146	უკუსარქველი ბრ.25მმ	ცალი	1	15	15
7	42130000	ონკანი ბურთოვანი 20მმ	ცალი	7	11	77
8	31300000	ელ.კაბელი 2*1,5 5მ	მეტრი	5	1,7	8,5
9	42131146	პლასმასის უკუსარქველი 20მმ	ცალი	7	10	70
10	31214100	ელ.გამომრთველი ავტომატი	ცალი	2	9	18
11	31214100	ელ.ვაზნა	ცალი	5	1,5	7,5
12	44165000	ქურო 20 მმ	ცალი	43	0,5	21,5
13	44134000	მუხლი 20მმ	ცალი	30	0,6	18
14	44164300	მილი 20მმ	ცალი	5	6	30
15	44164300	მილი 50მმ	ცალი	6	8	48
16	44411000	ნიჟარის სიფონი	ცალი	4	4	16
17	44531510	ხრახნი პლასტმასის	ცალი	4	2,5	10
18	44411000	გამწოვის გოფრე	ცალი	5	12	60
19	44411000	ორიანი სიფონი	ცალი	1	14	14
20	44411000	ქანჩი	ცალი	2	18	36
21	44411000	ამერიკანკა 25მმ	ცალი	2	5	10
22	42130000	შემრევი ონკანი	ცალი	1	38	38
23	24951120	სილიკონი	ცალი	1	3,5	3,5
						899

2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1 „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს „მიმწოდებელს"შესყიდვის ობიექტის ჯამური ღირებულება 899(რვაასოთხმოცდაცხრამეტი ლ)ლარი

3.გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

3.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

3.2ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

3.3„შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

3.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

3.5„დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

4. შესყიდვის ობიექტი

2.1შესყიდვის ობიექტი- სხვადასხვა სანტექნიკური ნაწილები .

2.2დაფინანსების წყარო-ადგილობრივი ბიუჯეტი

5.სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

6.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

6.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

6.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სპეციალისტი მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში.

7. საქონლის მიწოდების პირობები

7.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 31 მაისამდე

8. *შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი*

8.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ერთჯერადად, საქონლის მიწოდებისას მიმწოდებლისა და შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლებს შორის მიღება-ჩაბარების აქტისგაფორმებით

8.2 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

8.3 მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში

9.2 ანგარიშსწორება მოხდება საქონლის მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

10. ფასები

10.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხდება მხარეთა შეთანხმებით.

10.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო ხელშეკრულებით ჯამური ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმებების გარდა.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია 2 (ორი) კვირით ადრე.

11.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

11.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულები დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

13. სუბკონტრაქტორები

.1ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბკონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების პირობების სრულად შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლო განისაზღვროს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

2.ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის(მათ შორის ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს)განისაზღვროს პირგასამტეხლო ყოველვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

3.ელშეკრულების ნაწილობრის შესრულების შემთხვევაში პირგასამტეხლო განისაზღვროს შესასრულებელი(დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 5%-ს ოდენობით.

4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

5. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

15.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

15.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ)თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

16. ფორს-მაჟორი

16.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

17. სადაო საკითხების გადაწყვეტა

17.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
17.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18. გამოყენებული სამართალი

18.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

19. ხელშეკრულების ენა

.19. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

20. შეტყობინება

20.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
20.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება

21. გადასახადები და დაბეგვრა

21.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელი საქონლის წარმოებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.
21.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

22. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

22.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 1 აგვისტომდე

23. სხვა პირობები

23.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
23.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
23.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

23.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ,რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება	ი/მეწარმე: გულადი პაჭკორია
	მისამართიქ.სენაკი
მისამართი; სენაკი.	
	კოსტავასქ#44
ზვ.გამსახურდიასქ#117	ს/კ 39001035292 ს/კ239892434
სახელმწიფო ხაზინა	კოდი:BAGAGE22
კოდი TRESGE22 ა/ა GE24NB0330100200165022	საქართველოსბანკისსენაკისფილიალი ანგარიში#GE42BG0000000882284700,
ელ.ფოსტა aleqsandrejanjgava@yahoo.com	ელ.ფოსტა chiqobava.nunu@mail.ru

დირექტორის მ/შემსრულებელი	რ. მიშველია	ი/მ	გ. პაჭკორია

N(N)LE Senaki Municipality Unification of Preschool

Digitally signed by N(N)LE Senaki Municipality Unification of Preschool
Date: 2022.05.11 09:41:59 +04'00'